ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოცეგა

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 214. კვირა, 27 სექტემბერი 1909 წ. დამატების № 38.



აგანოდან ამოსული, — ქანდაკება კაბესი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეცარი ტალღა.

დრამა ოთხ მოქმედებად.

მოქმედება მესამე.

(დასასრული *).

სვიმ. კიდევ განვაგრძოთ? კარგი? (იწყობს, სხვებიც მიჭყვებიან)

გრიგ. საუცხოოდ გამოვიდა სწორედ!

მეორე ბერი. (მეთაურს) მამაო სვიმონ, თქვენ ი წყაროს წყალმა ხომ არ გაგიკეთათ ეგრე ხმა?

მეორ. ბერი. თუ კი სიწყნარეა, სიმღერა გაშლილ ჰაერზე უფრო უკეთესად გამოდის. რასაკვირველია! (ექვთიმე და გრიგოლი ისევ გამობრუნდებიან და დაიწყებენ სეირნობას)

ექვთ. მართლა, საუცხოო ხმა კი აქვს ამ ჩვენ სვიმონს.

გრიგ. განათლებული ლოტბარი ყოფილა თურმე ერის კაცობაში.

ექვთ. მართლა?

გრიგ. ჭეშმარიტად. (ბერები ისევ ისე გადიან. ისმის გემის ხმა. ექვთიმე და გრიგოლი მიდიან და სხდებიან სკამზე)

ექვთ. (ჩაფიქრდება) ჯერ კიდევ მაინც ვერ შევეჩვიე უარჩილობას. თითქოს გულზე რაღაც მომწყდაო, ისეთ ტკივილსა ვგრძნობ.

გამოდის ალექსი.

ექვთ. შვილო, ალესი! რა ვქნა, ეს ვინ მოეშურება აქ? აბა შეჰხედე! კარგად ვხედავ!

ალექ. (უეურებს და თან გაოცებულს ვერაფერი გაუგია) რავქნაა! თუ არა ვსცდებით... (შიშის ჟრუანტელი დაუვლის)

ექვთ. (ისიც საშინლად გაოცებული მისჩერებია, თითქოს თავისავე თვალებს არ უჯერებსო) ღმერთო! ეს თითქოს არჩილსა ჰგავს...

ალექ. მამაო, ეს არჩილია!

ექვთ. ღმერთო? რა ამბავია ნეტავი?! (მიდის სწრაფად ბიჯიკისაკენ. ამ დროს წინ შეეხეჩება არჩილი. დადადუდ-დაქანცული, ტანისამოს გამტვრიანებული, თმა და წვერ-ულვაშ აწეწილი ისეთ საშინელება რამეს წარმოადგენს წინანდელთან შედარებით, რომ კაცი ძლივს და იცნობს) შვილო, არჩილ, შენა?!

არჩ. მე ვარ ძია, მე!.. (მისუსტებულის ქვითინით დაეცემა მხრებზე ექვთიმეს)

ექვთ. ღმერთო ჩემო! არჩილ, რა დაგემართა? რა მოგვივიდა? (ალექსი მიეშველება ექვთიმეს. ორივეს მიჭეავს არჩილი და სვამენ სკამზე) ალექსი, წყალი მოიტა! (ალექსის გამოაქვს წყალი. არჩილ მაგრა ეხვევა ექვთიმეს და განაგრძობს მწარე ქვითინს) გამაგებინე, შვილო, რა მოხდა? რა ამბავია? ოხ, ღმერთო!... როგორ არიან სვიმონი, ლელა?..



ახალი საჰაერო მანქანა. № 1.

გრიგ. არა უშავსრა, ჩქარა გაივლის, მამაო ექვთიმე!

ექვთ. უცნაურია! რაღა დროს ჩემი მოწყენილობაა, სამოცწელს გადაცილებული ვარ აგერ ადამიანი!

გრიგ. მოხუცს უფრო არა სჭირდება ყავარჯენი ცხოვრებაში, ვიდრე ახალგაზრდას...

ექვთ. ეგეც კი მართალია რამდენიმეთ. (სიჩუმე. გრიგოლი უსიტყვოთ მიდის მარჯვნივ. ექთვიმე დიდხანს ზის ჩუმად; მაღალ გასტქერის სადღაც და ფიქრებშია გართული) უფალო! კიდევ როდემდის უნდა უძღვნიდეს ქებათა-ქებას შენს დიდებას ჩემი დასუსტებული ენა? ამ ქვეყნის წალკოტო! კიდევ როდემდის უნდა უცქერდნენ შენს მშვენებას ჩემი მოხუცი თვალები? მოჭიკჭიკე-მოჟღმურტულე ჩიტებო! კიდევ როდემდის უნდა ისმენდნეე თქვენ ჭიკჭიკ-გალობას ჩემი დაჩაგრული ყურები?.. დროა, დრო უფალო!.. (სიჩუმე. ტოტახანს მერე რადაცას მიაშტერდება ძირს. უფრო და უფრო ინტერესით შესტქერის).

არჩ. (ქვითინით) ლელა აღარ არის... ლელა აღარ არის... (ალექსი შემკრთალი ღრმა ინტერესითა და გულდაწყვეტით მისჩერებია ექვთიმესა და არჩილს).

ექვთ. როგორ? მაშ რა იქნა?

არჩ. აღარ არის... აღარ არის... (დიდხანს სტირის)

ექვთ. (ტრემლებ მორეული) შვილო არჩილ! ცოტა დამშვიდი გენაცვალე, და რიგიანად გამაგებინე, თუ რა მოხდა თქვენ თავს? (არჩილი განაგრძობს ტირილს) დამშვიდი, შვილო! დამშვიდი და გამაგებინე, რა უბედურება დატრიალდა თქვენს თავს. რა იქნენ შენს გარდა სხვები? (ალექსი სცდილობს თავი შეიმაგროს ტირილისაგან) მითხარი, გენაცვალე, რა იყო? როგორ? გულს რად იხეთქავ ეგრე? (არჩილ როგორც იქნება შესწყვეტს ტირილს და ექვთიმეს მხარზე დაყრდნობილი განაგრძობს სიჩუმე) რაზე მტანჯავ ლოდინში, შვილო! მეტყვი თუ არა რამეს?

არჩ. გეტყვი... (სუსტათა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად განაგრძობს)

*) იხ. სურათებიანი დამატება № 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავედით თუ არა მეორე ნავთსადგურიდან... დაბინდდა კიდეცა.. მე დაღლილი ვიყავი და მიმეძინა... ამ დროს საიდანღაც გაჩენილან ყაჩაღები... გემის ფოსტაც გაეძარცვათ... ჩვენთან ერთი მოხუცი ვაჭარი იყო, იმასაც სძარცვავდნენ თურმე და მოკვლასაც უპირებდნენ... მას მიჰშველებოდა ლელა და ორივე ერთად.... (ფეხზე აბოლოებს და ისევ წასქდება ქვითინი)

ექვთ. მერე?...

არჩ. მერე რაღა!... როცა ჩქარა ჩემი კანდელი, აღარ მინათებდა ცხოვრების გზას, სადღა წავსულვიყავ!... ვიღასთან წავსულიყავ!... და გზა აბნეულმა, მეხ-დაცემულივით გონება აბნეულმა ისევ აქ მოვაშურე... მეც აღარ ვიცი, ან აქ რაღად მოველ, რადგან შვებას მე არსაიდან არ მოველოდები....

ექვთ. მაინც თავი უნდა ინუგეშო, შვილო, ეგრე არ იქნება!

არჩ. რით ვინუგეშო თავი?... ან რიღასთვის ვინუგეშო?... მე აღარ ვიცი რიღასთვის ვიცოცხლო?.. სად წავიდე? რა ვეძებო? რა ვაკეთო გონება არეულმა, გზა დაკარგულმა, სიცოცხლე მოწამლულმა!...

ექვთ. წყეულიმც ყოფილან ღვთის პირისაგან ის ავაზაკნი!.. შენზე მეტად მათბობდა, მახარებდა... დასჭკენი აყვავებულო ბუნებავ! რადგან, როცა გული მკვდარია, შენი სილამაზეც, შენი სიკეკლუცეც მკვდარია ჩემთვის,... მკვდარია!... (გულამოჯდარი ისევ განაგრძობს ქვითინს)

ექვთ. ნუ იტანჯები ეგრე, შვილო! თავი შეიმაგრე ცოტა. (ცრემლებს იწმენდავს)

არჩ. სად შევღაღადო ეს უსამართლობა! ვისთან ვიჩივლო, მამაო?

ექვთ. მხოლოდ ერთი ღმერთია ყველას პასუხის გამცემი!..

არჩ. ლელიკო! ჩემო მოწყვეტილო ვარსკვლავო, ჩამქრალო სიხარულო! წამიყვა მეც შენთან! რად დამაობლე? რად დამაობლე?.. ნუ თუ შენგან შენი სახელის მეტი აღარაფერი არ უნდა დამრჩეს სიკვდილამდის მე ობოლ-საბრალოს?! ო, ლელა! სადა ხარ? როგორ ვიწამო, რომ სამუდამოდ გაჰქრა ქვეყნიერობაზე შენი არსებობა, როგორ ვიწამო, როცა მე მხოლოდ ამ რწმენით ღა შემიძლიან ვიცოცხლო კიდევ, თუ ამის შემდეგ ჩემ სიცოცხლეს კიდევ დაერქმევა სიცოცხლე! (ქვითინებს)

ექვთ. (სასოწარკვეთილებით) რა ვქნა! რა ვუყო!..

არჩ. არა! ლელა ისევ ცოცხალია! ის უნდა სცოცხლობდეს სადმე!... და თუ მე არ შემიძლიან, შენ მაინც ილოცე, მამაო! შენ მაინც ილოცე დაუვიწყარ ლელასთვის, კარგ ლელასთვის, საყვარელ ლელასთვის!.. (მოეხვევიან ქვითინით ერთმანეთს: გულ ამოჯდარი აიწევს ახალგორის



ახალი სახნავი მანქანა ხვნის დროს. № 2.

არჩ. ხიდი ჩემსა და ამ ქვეყნის შორის, ისიც შუა გზაში ჩამიწყვიტეს და მეც უფსკრულში ჩამაგდეს, უფსკრულში....

ალექ. (თავისთვის ხელებ აპერეობიდი) ოო, უფალო! ნუ თუ ეგრეთი სასტიკია შენი განგება!...

არჩ. ოხ, ღმერთო, ღმერთო! საიდან შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში ეს უეცარი ტალღა, რომელიც მომისპო მშვიდობიანობა, დამინტვრია ცხოვრების ნავი და ისე დამტოვა სახტად გაშლილ, აბობოქებულ ზღვაში!? ეხლა სადღა ვეძებო შველა! საიდღა გავიკვლიო გზა!...

ექვთ. რატომ ხელები არ დაწყდათ, როცა იმ უმანკოებს ეხებოდნენ , რატომ!?

არჩ. ო, ლამაზო მინდორ-ველო! როგორღა დავსტკბე თქვენის მშვენებით, როცა ჩემი თვალები აღარასდროს არ გაშრებიან ცრემლებისაგან?.. ო, ცელქო ჩიტებო! როდისღა გავიგონებ თქვენს ჭიკჭიკს, როცა ჩემ გულში განუწყვეტლივ იზუზუნებს ის ტყვია, რომელმაც გაუგმირა გული ჩემ სიცოცხლეს, ჩემს ნეტარებას?.. ო, ო, მზეო! ვეღარც შენი სხივები გაათბობენ ჩემს გულს, რადგან იქ ჩაჰქრა ის მოგიზგიზე ცეცხლი, რომელიც კალთას და იწმენდს თვალებიდან უხვად მოდინარე ცრემლებს. შორიდან მოისმის ბერების წუნარი კადობა).

ფ ა რ დ ა. ლევ. მეტრეველი.

ახალი სახნავი მანქანა.

უწინდელ დროში სამუშაო იარაღი უცნობ ხილს წარმოადგენდა. ყველა საქმე უნდა ასრულებულიყო ცარიელი ხელით, ფეხით ან კბილით. შემდეგ თან და თან შემოიღეს ჩაქუჩი, დანა, ნიჩაბი და სხვა. იარაღი შემოიღეს, მაგრამ ამ იარაღმა ასი და ათასი წლობით შეინარჩუნა იმ გვარი მოძრაობა, როგორიც ხელებს სჩვეოდათ: მოძრაობა ზევით და ქვევით ან წინ და უკან. მუშაობის ასრულებაშიაც ერთ-ერთი ამ მოძრაობათაგანი დარჩა. მაგალითისთვის ავიღოთ ცულით შეშის ჭრა: როდესაც ცულს მიმართულებას შეუცვლით, მაღლა ასწევთ და დაიქნევთ დასარტყმელად, ამ დროს სულ ტყუილად იკარგება ძალაც და დროც. ჩვენ მანქანათა საუკუნეშიაც ჯერ კიდევ ბევრ იარაღს შერჩა ასეთი პრიმიტიული მოძრაობა.

დიდი ხანი არ არის, რაც მიჰხვდნენ, რომ ბევრად უმჯობესია მბრუნავ მანქანათა მუშაობა. ასეთ მანქანათა

საშუალებით შესაძლებელი ხდება ამოქმედოთ ძალა დიდი ხნობით ერთსა და იმავე მიმართულებაში და ამით აიცდინოთ საქმის შეჩერება და ძალის ტყუილა-უბრალოდ დაკარგვა. დიდ წარმოებაში ზევით და ქვევით მოძრავი ხერხები უკვე შესცვალეს ირგვლივ მბრუნავ სახერხავ მანქანებით, წინ და უკან მოძრავი სარანდავი შესცვალეს მბრუნავ მრანდავ მანქანით, ზევით და ქვევით მოძრავი სატკეცი შესცვალეს მბრუნავ სატკეც მანქანათი. დიდი ხანია გამოიკვლიეს, რომ მიწის ბარვის დროს იარაღის უკან აღებით და მეორედ მიწაზე დაშვებით ძალა და დრო ტყუილად იკარგება და ვერა კეთდება იმდენი, რამდენიც შეუძლიან გააკეთოს შეუჩერებელმა პირდაპირმა მუშაობამ გუთნისამ ან ფარცხისამ. დაწყებითი პრინციპები ამ იარაღისა ათასი წლის განმავლობაში არაფრით არ შეცვლილა

რამდენადაც მე ვიცი, 50 წლის წინად რუდოლფ საკი პირველი სცდილობდა შეემცირებინა ძალის ტყუილა-უბრალოდ დაკარგვა ხვნის დროს თვლების საშუალებით; თუმცა გუთანს ძირს კბილთან თვლები გაუკეთა, მაგრამ იმისმა ცდამ ნაყოფი ვერ გამოიღო, რადგან ღერძი საკმაოდ ვერ იყო დაცული გატალახიანებისაგან, რის გამოც თვლები ველარ ტრიალებდნენ. ბევრის ცდის შემდეგ მიახწია რუდოლფ საკმა ძალის დაკარგვის შემცირებას გარეშემო მბრუნავ ფარცხის საშუალებით.

მაგრამ რაც შეეხება მიწის ღრმად დამუშავებას მბრუნავ იარაღის საშუალებით, ამისი გამომგონი არის ერთი უბრალო ჰუნგრელი მჭედელი, რომელმაც გამოიგონა მოძრავი მანქანა. ამ მოძრავ მანქანას აქვს საბრუნავი (катокъ), რომელიც გარეშემო მოჭედილია მრავალ წვეტიან კუწუბით. ამ უკანასკნელთა ზოგიერთი ნაწილი მიმართულია ღერძისაკენ. მოძრაობის დროს ზოგი ამათგანი მიწასა სთხრის, ზოგი კიდევ სჭრის. თუ გვინდა, რომ მიწა ღრმად ამოითხაროს, ამ შემთხვევაში საბრუნავი უნდა იყოს დატვირთული. შედარებით მიწის სიღრმესთან, რაც საძნელოა, რადგან ამ შემთხვევაში კაცისა ან საქონლის ძალა საკმაო არ არის. მაგრამ ამ საქმეში დახმარება გასწია თანამედროვე ავტომობილმა. მბრუნავი გაკეთებულია მოძრავ მანქანის უკანა ნაწილში (რომელსაც აქვს 60 ცხენის ძალა), ასე რომ შეიძლება აწევდაწევა მაგრამ, რომ დავწიოთ საბრუნებელი სიღრმით 30 სანტიმეტრზე, საჭიროა დიდი სიმძიმე. გონიერმა გამომგონმა თავიდან მოიშორა ეს იმით, რომ ააგო კუწუბები ისე, რომ ისინი თავისავე მოქმედებით ღრმად მიდიან ნიადაგში. მოძრავი მანქანა შესანიშნავია. უფრო იმით, რომ იგი არ არის მარტო ამასრულებელი იარაღი. არამედ ერთსა და იმავე დროს მოქმედებს კიდეც, როგორც მანქანის ბორბალი, წაღებ-წამოსაღებად. მმოძრავი ამუშავებს არა მარტო ოთხ თვალს მანქანისას, არამედ ერთსა და იმავე დროს საბრუნავ ღერძსაც. აი, სწორედ აქ არის მთელი ღირსება მოძრავ მანქანისა, მიწის დასამუშავებლად (იხ. სურათი № 1).

კაცმა რომ კარგად გაიცნოს ეს სახნავი მანქანა, საჭიროა მისი ნახვა მუშაობის დროს (იხ. სურათი № 2). მანქანა მუშაობდა მეტად ქვიან და თიხიან მიწაში და დაახლოვებით გაიარა ოთხი კილომეტრი. სტოვებდა მოხნულ კვალს სიგანით სამ მეტრს და სიღრმით 35 სანტიმეტრს. თვით მიწასაც წვრილად ფხვნიდა. მიწა იშლებოდა ისე წვრილად, რომ არავითარი ოღროჩოღრო აღარა რჩებოდა. შესანიშნავია კიდევ იმით, რომ ასეთ დამუშავების წყალობით ნიადაგში დიდხანს ინახება სინესტე. მოხვნის შემდეგ ნიადაგის ზედაპირი მალე შრება და ქვეშ-კი სინესტე რჩება. როგორცა ვთქვით, ერთსა და იმავე დროს ამ მოძრავ მანქანას შეუძლიან მოხნას და სასუქიც დააყაროს. შეიძლება ამ მანქანას უკან, სასუქის გამფანტველთან, გაუკეთდეს მთესავი მანქანაც. ამ რიგად, ერთსა და იმავე დროს იგი ხნავს, სასუქს ჰყრის და სთესავს. ამ მანქანის სახმარებლად საჭიროა სულ ორი კაცი. თუ კარგი ხელის შეწყობა ექნება და ნიადაგიც კარგი შეხვდა, მანქანას შეუძლიან 10 საათში 30 დღისა დაიმუშაოს... აქვს 46 ცხენის ძალა და ღირს დაახლოვებით 17,000 მანეთად. აქვს დღეში 18 მანეთის ხარჯი — მუშებისა, გასაზეთისა და ბენზინისათვის. ამისთანა მანქანა შეიძლება იხმაროს კაცმა სალეწავად, და ტვირთის წაღებ-წამოსაღებათაც (იხ. სურათი № 3).

ამ რიგად ბევრ გამოგონებასთან გერმანელებმა გამოიგონებს ისეთი მანქანაც, რომელსაც შეუძლიან შეუჩერებლივ ოთხი საქმე აასრულოს—ხვნა, თესვა, ფარცხვა და სასუქის დაყრა. ჩვენში კი შესაბრალისია სოფელი, რომელიც მიშჩერებია უბრალო ხის გუთანს და ერთ დღიურის მოხვანს ანდომებს ორჯელ მეტ ხარჯს და ძალას, ვიდრე თითონ მოხნული ღირს. ხვნის დროს აბამენ 7—8 უღელ ხარს, საჭიროა ოთხი მეხრე და ერთი გუთნის-დედა. დაუმატეთ ჭამა-სმა და დაინახავთ, დღიური ნახნავი რა უჯდება მიწის მუშას. შემცდარი აზრია, ვითომ ჩვენ გლეხს არ შეუძლიან გაუმჯობესებულ იარაღის გამოწერა. რომ შეერთდეს მთელი სოფელი, ზემოხსენებულ სახნავ მანქანის გამოწერასაც კი მოახერხებს და იგი მთელი სოფლის მიწას რამდენსამე დღეში დაიმუშავებს. მაგრამ რომ უთხრა, იყიდე ახალი სახნავი გუთანი, გიპასუხებს: „ჩვენი მამა-პაპა ამით სცხოვრობდა და ჩვენც იმათ ანდერძს ვერ გავტეხავთ“-ო. რა თქმა უნდა, ხეირი არ დაგვეყრება, თუ მამა-პაპის ამ გვარ ანდერძებს მივყევით და ახალ გამოგონებებს ზურგი არ ვაქციეთ. გლეხები რა გასამტყუნარნი არიან, როდესაც შეძლებული და განათლებული მემამულენიც ერიდებიან მანქანებს.

მიწის სიმსუქნით საქართველო ერთი მდიდარი ქვეყანათაგანია და თუ გერმანიაში, სადაც ნიადაგი თითქმის სულ რიყიანია, ამ მანქანების საშუალებით მიახწიეს საუკეთესო მოსავალს, ადვილი წარმოსადგენია, რა იქნება ჩვენში, რომ გერმანელებსავით ვიცოდეთ მიწის დამუშავება.

რევაზ გედევანიშვილი.



ახალი სახნავი მანქანა ტვირთვის ზიდვის დროს. № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე** ელექტრო-მბეჭდავი **მ. დ. კიკნაძისა**, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.